

“დამტკიცებულია”

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა  
და სპორტის კოლეჯის დირექტორის  
2019 წლის 18.03 N 03-09 ბრძანებით

## სსიპ- საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესი

წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ- საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის (შემდგომში „კოლეჯი“) პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებულ საკითხებს.

### მუხლი 1. საწარმოო პრაქტიკის მიზანი

1. საწარმოო პრაქტიკის მიზანია პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, სამუშაო გარემოში, მათი ადაპტაციის ხელშეწყობა.

2. საწარმოო პრაქტიკის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, კოლეჯი უზრუნველყოფს:

- შესაბამის საწარმოებთან/ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმებას;
- პროფესიული სტუდენტის საწარმოო პრაქტიკის წარმართვას წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის, მოდულების გათვალისწინებით;

### მუხლი 2. საწარმოო პრაქტიკის ორგანიზება

1. პროფესიულ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით კოლეჯი შესაბამის საწარმოებთან/ორგანიზაციებთან აფორმებს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებს.

2. ორგანიზაციასთან პირადი შეთანხმების საფუძველზე, ორგანიზაციის ხელმძღვანელი და კოლეჯის დირექცია აწარმოებენ მოლაპარაკებას, პროფესიული სტუდენტისათვის (სტუდენტებისათვის) საწარმოო პრაქტიკის გავლის უზრუნველსაყოფად შესაბამისი პირობების შექმნის მზადყოფნასთან დაკავშირებით.

3. საწარმოო პრაქტიკის ობიექტის წინასწარ შერჩევა ხორციელდება საწარმოო პრაქტიკის პროფესიული განათლების მასწავლებლის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერისა და სასწავლო ნაწილის უფროსის მიერ ჩატარებული

წინასწარი მოკვლევისა და ვიზუალური დათვლიერების საფუძველზე. ამასთან, საწარმოო პრაქტიკის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- უზრუნველყოფდეს შესაბამის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საწარმოო პრაქტიკის სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობებს;
- უზრუნველყოფდეს პროფესიულ სტუდენტებისთვის უსაფრთხო და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გარემოს.

4. საწარმოო პრაქტიკის მიზნით საწარმოსთან/ორგანიზაციასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაზე ნაკლები.

5. პროფესიულ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკაზე გაშვების მიზნით, კოლეჯი საწარმოო პრაქტიკის ობიექტთან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე აფორმებს ხელშეკრულებას ან/და გამოსცემს ბრძანებას, რომელშიც მიეთითება

- ა) საწარმოო პრაქტიკის გავლის პირობები,
- ბ) საწარმოო პრაქტიკის დაწყების და დასრულების თარიღები,
- გ) კონკრეტული პროფესიული სტუდენტების სახელები და გვარები.
- დ) საწარმოო პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი (საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი).

6. საჭიროების შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკაზე განაწილება კოლეჯი უფლებამოსილია გადაიტანოს საწარმოო პრაქტიკა დაგეგმილი პერიოდიდან მაქსიმუმ 2 კვირით.

7. პროფესიული სტუდენტის მხრიდან ინიცირების შემთხვევაში, შესაძლებელია, კონკრეტული პროფესიული სტუდენტის საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებით პრაქტიკის ობიექტთან გაფორმდეს შესაბამისი ინდივიდუალური ხელშეკრულება.

8. სსსმ პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე განაწილება და მათთვის საწარმოო პრაქტიკის გატარება ხორციელდება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, სსსმ პირთა ასისტენტის ჩართულობით.

### **მუხლი 3. საწარმოო პრაქტიკის მასწავლებელი (ხელმძღვანელი)**

1. საწარმოო პრაქტიკის მასწავლებელი (ხელმძღვანელი) პასუხისმგებელია პროფესიულ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის განხორციელებაზე.

2. საწარმოო პრაქტიკის მასწავლებელი (ხელმძღვანელი) საწარმოო პრაქტიკას ახორციელებს კოლეჯთან გაფორმებული ხელშეკრულების, წინამდებარე წესის საფუძველზე და უზრუნველყოფს:

- ა) საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე უსაფრთხოების წესებისა და ეთიკის ნორმების დაცვის შესახებ სტუდენტთა წინასწარ ინფორმირებას;
- ბ) საწარმოო პრაქტიკის ვადებისა და კონკრეტული გრაფიკის შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებას;
- გ) საწარმოო პრაქტიკის დღიურის წარმოების შესახებ სტუდენტთათვის ინფორმაციის მიწოდებას;
- დ) პროფესიული სტუდენტებისათვის საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის შესასრულებლად საჭირო პირობების შექმნას და გაცნობას;
- ე) საწარმოო პრაქტიკის განმავლობაში პროფესიულ სტუდენტთა ხელმძღვანელობას ;
- ვ) სტუდენტთა ინფორმირებას საწარმოო პრაქტიკის საბოლოო შეფასების შესახებ.

3. საწარმოო პრაქტიკის მასწავლებელი (ხელმძღვანელი) ვალდებულია საწარმოო პრაქტიკის დასრულების შემდეგ არა უგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში ჩააბაროს საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს პროფესიულ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის დღიურები და წარმოადგინოს წერილობითი ანგარიში სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის განხორციელების შესახებ.

#### **მუხლი 4. საწარმოო პრაქტიკის განხორციელების კონტროლი**

- 1. პროფესიულ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის განხორციელებაზე კონტროლს აწარმოებს კოლეჯის საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი;
- 2. კოლეჯის საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი საწარმოო პრაქტიკის განხორციელებაზე კონტროლს შერჩევითი პრინციპით ახორციელებს:
  - ა) პრაქტიკის ობიექტზე ვიზიტს და მის დათვალიერებას, შემოწმებას, თუ რამდენად არის სამუშაო პირობები შექმნილი სტუდენტთათვის;
  - ბ) ინტერვიუს პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან;
  - გ) სტუდენტების დასწრების აღრიცხვის შემოწმებას;

#### **მუხლი 5. საწარმოო პრაქტიკის სწავლის შედეგების შეფასება**

- 1. საწარმოო პრაქტიკის სწავლის შედეგების შეფასებას ახორციელებს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი დასკვნითი გამოცდის/შედეგის დადასტურების საფუძველზე.
- 2. პროფესიულ სტუდენტს აძლევს განმარტებას შეფასებასთან დაკავშირებით.
- 3. ადასტურებს შეფასების შედეგებს ხელმოწერით.

4. შეფასების ჩანაწერებს გადასცემს საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს.
5. პირადად აკვირდება პრაქტიკული დავალებების შესრულების პროცესს.
6. თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის აწარმოებს შეფასების ჩანაწერების ფორმებს.
7. აჯამებს შეფასების შედეგებს.

#### **მუხლი 6. საწარმოო პრაქტიკის დღიურის წარმოება**

1. პრაქტიკის დღიურს პროფესიული სტუდენტი აწარმოებს ყოველკვირეულად
2. საწარმოო პრაქტიკის დღიურში სტუდენტი ახდენს საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე მის მიერ შესრულებული სამუშაოების აღწერას
3. საწარმოო პრაქტიკის დღიური დამოწმებულია კოლეჯის დირექტორის ხელმოწერითა და ბეჭდით.

